ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება (დიდი პალატა) CHEZ Razpredelenie Bulgaria AD v Komisia za zashtita ot diskriminatsia, Case C-83/14; ECLI:EU:C:2015:480

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

„54 დირექტივის 2000/43 მე-2(2)(b) მუხლის მიხედვით, **ირიბ დისკრიმინაციად ითვლება ისეთი მოპყრობა, როდესაც აშკარად ნეიტრალური დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის პირებს აყენებს გარკვეულ არახელსაყრელ მდგომარეობაში სხვა პირებთან შედარებით,** გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა ობიექტურად არის გამართლებული კანონიერი მიზნით და ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები თანაზომიერი და აუცილებელია.“

[...]

„94 [...] ირიბი დისკრიმინაციის ცნებასთან დაკავშირებით სასამართლოს დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც, განსხვავებით პირდაპირი დისკრიმინაციისგან, **ირიბ დისკრიმინაციას შეიძლება იწვევდეს ისეთი ღონისძიება, რომელიც, თუმცა ნეიტრალური ტერმინებით არის ფორმულირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მითითებულია სხვა კრიტერიუმები, რომლებსაც დაცულ მახასიათებელთან პირდაპირი კავშირში არ აქვს, იწვევს შედეგს, რაც სწორედ ამ მახასიათებლის მქონე პირებს აყენებს არახელსაყრელ მდგომარეობაში.“**

„95 [...] თუ ჩანს, რომ განსხვავებული მოპყრობის გამომწვევი ზომის მიღება მოხდა რასობრივ ან ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებული მიზეზებით, მაშინ ეს ზომა უნდა კლასიფიცირდეს, როგორც „პირდაპირი დისკრიმინაცია“ დირექტივის 2000/43 მე-2(2)(b) მუხლის მნიშვნელობით.“

[…]

“97 დირექტივის 2000/43/EC მე-2(2)(b) მუხლი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ იგი გამორიცხავს ეროვნული სამართლის იმ დებულებას, რომლის თანახმადაც რასის ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ირიბი დისკრიმინაციის არსებობისთვის აუცილებელია, რომ სადავო ღონისძიება მიღებული იყოს სწორედ რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის მიზეზით.“

მოკლე მიმოხილვა:

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2015 წლის 16 ივლისის (დიდი პალატა) გადაწყვეტილება საქმეზე **CHEZ Razpredelenie Bulgaria AD v. Komisia za zashtita ot diskriminatsia, C-83/14** წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრეცედენტს ანტიდისკრიმინაციული სამართლის განვითარებაში. საქმე ეხებოდა ბულგარეთის ერთ-ერთ რეგიონში, ძირითადად ეთნიკურად ბოშებით დასახლებულ ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მრიცხველების სხვა უბნებთან შედარებით მაღალ სიმაღლეზე დამონტაჟებას, რის შედეგადაც აბონენტებს უძნელდებოდათ მოხმარებული ელექტროენერგიის კონტროლი. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ მკაფიო განმარტებები გააკეთა

პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის ერთმანეთისგან გამიჯვნის თაობაზე და დაადგინა, რომ მსგავს ქმედებას, მიუხედავად იმისა, რომ იგი ნეიტრალურ ფორმას ატარებდა, შესაძლოა ირიბი დისკრიმინაციული ეფექტი ჰქონოდა და მისი გამართლება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ იგი ობიექტური და თანაზომიერი საჭიროებით იქნებოდა განპირობებული.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების XXX დანართი
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	საბჭოს 2000 წლის 29 ივნისის დირექტივა 2000/43/EC „რასობრივი თუ ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად პირთა თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელების შესახებ“
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 2000/43/EC მე-2(2)(ხ) მუხლი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი *(სარეგისტრაციო კოდი: 270000000.04.001.016012; 16/04/2025 კონსოლიდირებული ვერსია)*
საკვანძო ტერმინი	**ირიბი დისკრიმინაცია**
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	*2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება (დიდი პალატა) CHEZ Razpredelenie Bulgaria AD v Komisia za zashtita ot diskriminatsia, Case C-83/14; ECLI:EU:C:2015:480*

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.